ანტიბიოტიკებით თვითმკურნალობის პრაქტიკა და განმაპირობებელი ფაქტორები თბილისის მოსახლეობაში

ანა ჩვამანია

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო მირზიკაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

20.05.2023

აბსტრაქტი

შესავალი. ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობა გლობალურ პრობლემას წარმოადგენს, მისი ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი მოსახლეობის მხრიდან ანტიბიოტიკების არამიზნობრივი მოხმარებაა, აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მწვავეა საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში. არსებული მდგომარეობის შეფასებისა და საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, აუცილებელია მოსახლეობის ქცევის შესწავლა და იმ ფაქტორების დადგენა, რომლებიც განაპირობებენ აბტიბიოტიკებით თვითმკურნალობას.

საკვლევი თემა. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია შეისწავლოს თბილისის მოსახლეობის ქცევა ანტიბიოტიკებით თვითმკურნალობასთან დაკავშირებით და დაადგინოს აღნიშნული ქცევის განმაპირობებელი ფაქტორები, ამასთანავე კვლევის კითხვარს აქვს საგანმანათლებლო ხასიათი და მოიცავს კითხვებს, რომლებიც მიმართულია საკითხის მიმართ რესპონდენტთა ცნობიერების ამაღლებისკენ.

კვლევის მეთოდოლოგია. მოცემული კვლევა იყენებს კვლევის რაოდენობრივ მეთოდს, კერძოდ რესპონდენტთა დისტანციურ ანკეტირებულ გამოკითხვას ჯვარედინ-სექციური შესწავლის მეთოდით.

შედეგები. 384 რესპონდენტის გამოკითხვის შედეგად ანტიბიოტიკებით თვითმკურნალობა გამოვლინდა 53%-ში. ანტიბიოტიკებით თვითმკურნალობის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის გამოიკვეთა დროის ნაკლებობა ექიმთან ვიზიტისათვის და ფინანსური ბარიერები. კვლევის შედეგად გამოვლინდა კავშირი ანტიბიოტიკებით თვითმკურნალობას, სამედიცინო განათლებასა და საკითხის მიმართ ცოდნის დონეს შორის. კვლევის შედეგად გამოიკვეთა აფთიაქებში ანტიბიოტიკებზე ურეცეპტო ხელმისაწვდომობის ტენდენცია, რაც ბარიერს ქმნის საკითხთან ბრძოლაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ანტიბიოტიკებით თვითმკურნალობა, ანტიმირობული რეზისტენტობა, ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობა.

Abstract

Introduction. Antibiotic resistance is a global problem, one of its causes is the inappropriate use of antibiotics by the population, the issue is particularly acute in middle and low-income countries. In order to assess the current situation and better study the issue, it is necessary to study the behavior of the population and determine the factors that lead to self-medication with antibiotics.

Aim. The aim of the master's thesis is to thoroughly study the behavior of the population of Tbilisi regarding self-medication with antibiotics and to determine the determining factors of this behavior, at the same time, the research questionnaire has an educational character and includes questions aimed at raising the level of awareness of the respondents.

Methodology. This study uses a quantitative research method, remote questionnaire survey of respondents with Cross-Sectional study.

Results. As a result of the survey of 384 respondents, the behavior of self-medication with antibiotics was revealed in 53%. Lack of time to visit a doctor and financial barriers were among the reasons for self-medication with antibiotics. As a result of the study, the relationship between self-medication with antibiotics, medical education and the level of knowledge about the issue was revealed. According to the results of the research, the non-prescription availability of antibiotics in pharmacies was unequivocally confirmed, which may turn out to be a big barrier in the fight against antimicrobial resistance.

Key words: self-medication with antibiotics, antimicrobial resistance, treatment without a doctor's prescription.